

## განმარტებითი ბარათი

### საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

წინამდებარე ცვლილებების მიღება გაპირობებულია მოქმედი კანონმდებლობით, რომლის თანახმადაც, დ.დ.გ.-სგან თავისუფლება მხოლოდ „მსოფლიო მემკვიდრეობის საგანძურის ნუსხაში შეტანილი საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და აღდგენის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოები და არქეოლოგიური გათხრები“. სხვა პირთა მიერ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე საერებაბილიტაციო სამუშაოების წარმოება მოქცეულია საერთო საგადასახადო რეჟიმში, რაც ნაკლებ სტიმულს აძლევს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აწარმოონ აღნიშნული საქმიანობა.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

წინამდებარე ცვლილებები მიზნად ისახავს ფიზიკური და იურიდიული პირების განთავისუფლებას დ.დ.გ.-სგან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო და კვლევითი სამუშაოების წარმოებისას.

ცვლილებები ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და რეაბილიტაციის სფეროში ფინანსების მოზიდვას, წახალისებს მესაკუთრეებსა და მეცენატებს, შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფო, თვითმმართველობისა და მმართველობის, ასევე დარგში მოქმედ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა პირებს, უფრო ეფექტურად გამოიყენონ მათ ბიუჯეტში არსებული, კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული სახსრები.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიხედვით, დ.დ.გ.-სგან თავისუფლება ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო და კვლევითი სამუშაოების წარმოება.

##### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

##### ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტი არიწვევს დამატებითი საბიუჯეტო სახსრების გამოყოფის აუცილებლობას.

##### ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

##### ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

##### ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

##### ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტით არქეოლოგიური სამუშაოების, ასევე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო და კვლევითი სამუშაოების წარმოებისას დ.დ.გ.–სგან გათავისუფლდებიან ფიზიკური და იურიდიული პირები.

**ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი:**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

წინამდებარე კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

ეს კანონპროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი:**

კანონპროექტის ავტორია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:**

საქართველოს მთავრობა.